

**აქციის
„Premium Georgia“ და „AMEDIA TEKA“,
Silk Go მომსახურების აბონენტებისთვის“
პირობები**

1. აქციის „Premium Georgia“ და „AMEDIA TEKA“ Silk Go- მომსახურების აბონენტებისთვის“ (შემდგომი „აქცია“) ფარგლებში, აბონენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „Silk GO“ მომსახურებაზე და სარგებლობენ პაკეტებით: „Premium Georgia“ და AMEDIA TEKA“, აქციის ფარგლებში, აღნიშნულ პაკეტებს მიიღებენ სააბონენტო გადასახდელის გარეშე.
2. „Silk GO“-ს აპლიკაციით სარგებლობა შესაძლებელია ფიქსირებული ან მობილური ინტერნეტ კავშირის მეშვეობით.
3. აქციის აქტივაციისა და მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აქციის გაშვებიდან - 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
4. აქციით სარგებლობას (ავტომატური გააქტიურების გზით) შეძლებენ შემდეგი აბონენტები:
 - 4.1. აბონენტები, რომლებიც Silk GO მომსახურებაზე არიან რეგისტრირებულნი (როგორც საავანსო, ასევე საკრედიტო სისტიმით მოსარგებლე აბონენტები);
 - 4.2. აბონენტები, რომლებიც მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში გააქტიურებენ შემდეგ პაკეტებს: Silk GO მომსახურების პაკეტი „Premium Georgia“ და „AMEDIA TEKA“.
5. აქცია არ ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომლებმაც თავისი სურვილით დააფიქსირეს უარი ავტომატურად გააქტიურებადი აქციების ჩართვაზე.
6. აბონენტებისთვის, რომლებიც ისარგებლებენ/ჩაირთავენ შემდეგ პაკეტებს: Silk GO მომსახურების „Premium Georgia“ და AMEDIA TEKA, აღნიშნულ პაკეტებს მიიღებენ სააბონენტო გადასახდელის გარეშე.
7. აბონენტებს, აქციის პირობები გაუაქტიურდებათ ავტომატურად და აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე (მიუხედავად იმისა თუ როდის მოხდა აბონენტისთვის აქციის აქტივაცია).
8. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს, რომლებიც აქციის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ არ გაიუქმებენ აქციით გააქტიურებულ პაკეტებს, შეუნარჩუნდებათ აქციის ფარგლებში გააქტიურებული პაკეტები და დაერიცხებათ მათი სტანდარტული ღირებულება.
9. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით მოსარგებლე აბონენტმა, აქციის მოქმედების პერიოდში SilkGo.ge-ზე გააქტიურა აქციის ფარგლებში ჩართული პაკეტ(ებ)ი, პაკეტში შემავალი კონტენტით სარგებლობა აქციის პირობებით შესაძლებელი იქნება სხვა არხებშიც (მაგ: გააქტიურა პაკეტი AMEDIA TEKA silkgo.ge-ზე, თუ SILK Go მომსახურება რეგისტრირებულია სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომერზე, ამ შემთხვევაში AMEDIA TEKA-ს სერვისი აქციის პირობებით ხელმისაწვდომი იქნება სილქ ტვ მომსახურებაზეც).
10. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით მოსარგებლე აბონენტი, აქციის მოქმედების პერიოდში ჩაერთვება ორმაგ შეთავაზებაში (რომელიც მოიცავს Silk Go მომსახურების პაკეტს „Premium Georgia“ და AMEDIA TEKA-ს) შეიზღუდება აქციის პირობები და „Premium Georgia“ და „AMEDIA TEKA“ პაკეტ(ებ)ის მიწოდება მოხდება ორმაგი შეთავაზების პირობებით.
11. Silk Go მომსახურების დროებით შეჩერება არ არის შესაძლებელი.

მომსახურების ტარიფები	
პაკეტის სტანდარტული ღირებულება	აქციის ფარგლებში განსაზღვრული ღირებულება
Premium Georgia - 3 ლარი	გადასახდელის გარეშე
AMEDIA TEKA - 3 ლარი	